

განცხადება

ცხადდება მიღება დოქტორანტურაში 2014-2015 სასწავლო წლისათვის შემდეგ სადოქტორო პროგრამებზე:

დრამის ფაკულტეტი

- მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება /პედაგოგიკა/

კინო-ტელე ფაკულტეტი

- ტელერეჟისურა

ქართული ხალხური სამუსიკო და ქორეოგრაფიული ხელოვნების ფაკულტეტი

- ქორეოგრაფიის ხელოვნება

ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი

- თეატრმცოდნეობა
- კინომცოდნეობა
- ხელოვნებათმცოდნეობა
- ქორეოლოგია
- მედიის კვლევა

საბუთები მიიღება 2014 წლის 2 სექტემბრიდან 22 სექტემბრის ჩათვლით.

დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარსადგენი საბუთების ნუსხა:

- განცხადება რექტორის სახელზე სადოქტორო პროგრამის მითითებით
- განმცხადებლის ავტობიოგრაფია (CV)
- ოთხი ფოტოსურათი /3X4/ (დისკით)

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის დამოწმებული ასლი
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი
- სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა-დასაბუთება
- სავარაუდო ხელმძღვანელის დასაბუთებული შუამდგომლობა
- უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის დამოწმებული ასლი / B2 დონე/ (არსებობის შემთხვევაში)
- ახსნა- განმარტება იმის თაობაზე, რომ განმცხადებელი არ ირიცხება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურაში.
- მიწერის მოწმობა და მისი ასლი, ან სამხედრო ბილეთი და მისი ასლი (სამხედრო ვალდებულთათვის)
- რეფერატული ნაშრომი (ფორმატი: 7-10 ნაბეჭდი გვერდი, უნიკოდი „აკადნუს“-შრიფტი - 12, ინტერვალი - 1/„sylfaen” - შრიფტი - 11, ინტერვალი - 1) სასურველი თემატიკის ფარგლებში-თეორიული მიმართულების სადოქტორო პროგრამების მსურველებმა.
- სამოტივაციო წერილი სასურველი პროგრამის ფარგლებში - საშემსრულებლო მიმართულების სადოქტორო პროგრამების მსურველებმა.
- TBC ბანკის რომელიმე ფილიალში გადახდილი 20 ლარიანი ქვითარი
 - / რეკვიზიტები: მიმღები ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: **TBCBGE22**
 - მიმღების ანგარიში: **GE08TB7907634020100005**
 - მიმღების სახელი: საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი/

სასპეციალიზაციო გამოცდა სადოქტორო პროგრამაზე ჩატარდება 2014 წლის 24 სექტემბერს 14 საათზე.

საპრეტენზიო განცხადებები მიიღება იმავე დღეს 24 სექტემბერს, განხილვა 25 სექტემბერს. საბოლოო შედეგები გამოცხადდება 26 სექტემბერს.

სასწავლო პროცესი დაიწყება 2014 წლის 1 ოქტომბერს.

საბუთების მიიღება უნივერსიტეტის II კორპუსში, ოთახი 218 11 საათიდან 17 საათამდე შაბათ-კვირის გარდა. ტელ: 2 94 20 69, 577 288 784, 577 288 785